დანართი N 1.

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის #2 საჯარო სკოლის

კათედრის დებულება

2024

I თავი. ზოგადი დებულება

1.1. კათედრა თავის საქმიანობას წარმართავს ზოგადი განათლების შესახებ კანონის, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის წესდების, შინაგანაწესისა და ამ დებულების შესაბამისად.

1.2. მოქმედების არეალი

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის #2 საჯარო სკოლა.

II თავი. კათედრის დებულების დამტკიცება

2.1. კათედრის დებულებას შეიმუშავებენ კათედრის წევრები თავმჯდომარესთან ერთად, ათანხმებენ დირექციასთან და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

2.2. აღნიშნული დებულება ძალაშია დირექტორის შესაბამისი ბრძანების გამოცემისთანავე.

III თავი. კათედრის მიზნები და ამოცანები

3.1. კათედრის მისია.

კათედრა ზრუნავს მასწავლებელთა სულიერი, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების განვითარებაზე ინოვაციური პედაგოგიური მიდგომების დანერგვის გზით.

3.2. კონკრეტული ფუნქცია-მოვალეობები:

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
- ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება, წარმატების წინაპირობების განსაზღვრა დაპრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- სახელმძღვანელოების შერჩევა;
- სხვა საგნობრივ ჯგუფების მასწავლებლებთან კოორდინირებული მუშაობის წარმოება;
- ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის; პროფესიული განვითარებისგზების დასახვა;
- რეკომენდაციების შემუშავება დამხმარე სასწავლო მასალებისა და ბიბლიოთეკისთვის საჭიროწიგნების შესახებ;
- რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების ახალი მეთოდოლოგიებისა და მიდგომებისშესახებ;
- საგნებში სემესტრული სასკოლო გამოცდების ვარიანტების შემუშავება და წარდგენა სკოლისადმინისტრაციაში;
- სკოლის საათობრივი ბადის შესაბამისად, საგნებში სასწავლო საათების განაწილება კათედრისპედაგოგებს შორის კლასების მიხედვით;
- საგნებში ვაკანტურ თანამდებობაზე პედაგოგების მისაღებად საჭიროების შემთხვევაში

გასაუბრებისათვის წარმომადგენლის გამოყოფა;

- პერიოდულად სკოლაში საგნების სწავლების მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება; დანერგვა; გადასინჯვა და რევიზია.
- შეფასების ვერიფიკაციის პროცესებში მონაწილეობა;
- თითოეული მასწავლებლის მიერ კლასების მიხედვით ჩატარებული საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს წარმოშობილი პრობლემის განხილვა/გადაჭრა.

IV თავი. კათედრის წევრობა

4.1. კათედრა აერთიანებს ამ საგნის ყველა პედაგოგს. ისინი თანასწორობის საფუძველზე მონაწილეობენ კათედრის სხდომებზე.

4.2. კათერდა იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ სამჯერ.

4.3. რიგგარეშე კათედრის სხდომა ჩატარდება:

ა) საჭიროების შემთხვევაში კათედრის თავმჯდომარის ან კათედრის წევრების 1/3- ის მოთხოვნისთანავე;

ბ) წევრები კათედრის რიგგარეშე სხდომის შესახებ გაფრთხილებული უნდა იყვნენ სამი სამუშაო დღით ადრე მაინც, განსახილველი საკითხების მითითებით;

გ) სხდომის მოწვევის უზრუნველყოფა ევალება კათედრის თავმჯდომარეს.

კათერდის წევრების უფლება-მოვალეობები

კათედრის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს კათედრის თავმჯდომარედ:

ბ) კათედრის სხდომაზე გადაწყვეტილებების მიღებისას ისარგებლოს ერთი ხმის უფლებით;

გ) შევიდეს ინიციატივებით სხდომაზე და განხილვაზე დააყენოს მისთვის საინტერესო საკითხი;

დ) მონაწილეობა მიიღოს საათების გადანაწილებაში;

ე) მონაწილეობა მიიღოს კათედრის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში;

კათედრის წევრი მოვალეა:

ა) დაესწროს კათერდის სხდომებს (თუ არ არსებობს გაცდენის ობიექტური მიზეზი);

ბ) მონაწილეობა მიიღოს სახელმძღვანელოების შერჩევაში;

გ) იზრუნოს კათედრის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის და ჯეროვნად შეასრულოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები;

დ) დანერგოს თანამედროვე მეთოდები და მიდგომები;

ე) იზრუნოს საკუთარი და კათედრის წევრების პროფესიულ განვითარებაზე;

V თავი. კათედრის თავმჯდომარე

5.1. არჩევის წესი

ა) კათედრის თავმჯდომარეს სამი წლის ვადით ირჩევენ კათედრის წევრები, სასწავლო წლის დასაწყისში ფარული ან ღია კენჭისყრით;

ბ) კათედრის თავმჯდომარე აირჩევა მონაცვლეობით, როტაციის პრინციპით.

გ) კათედრის თავმჯდომარის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ კათედრის წევრებს;

5.2. ფუნქცია-მოვალეობები:

კათედრის თავმჯდომარე:

ა) უძღვება კათედრის სხდომებს და ხელმოწერით ამტკიცებს სხდომის ოქმებს;

ბ) კათედრის წევრებთან ერთად უზრუნველყოფს წლის სამოქმედო გეგმის მომზადებას;

გ) კათედრის მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს;

დ) მოვალეა უზრუნველყოს კათედრის სხდომების ორგანიზება და დროულად ჩატარება;

ე) უზრუნველყოფს კათედრის სამოქმედო გეგმის შესრულებას და გაწეული საქმიანობის მონიტორინგს;

ვ) უზრუნველყოფს კათედრის ეფექტურად ფუნქციონირებასა და განვითარებისათვის სხვადასხვა ღონისძიებიბის (ლექცია, სემინარები, სამოდელო გაკვეთილები და სხვა) ჩატარებას;

თ) კოორდინირებას უწევს კათედრის მუშაობას და უზრუნველყოფს ფუნქციების ეფექტურად განაწილებას კათედრის წევრებს შორის;

ი) წარუდგენს წინადადებებსა და რეკომენდაციებს (პადაგოგთა რეიტინგის, წახალისების მექანიზმების, ექსპერტთა მოწვევის, ტრენინგებისა და სხვა ღონისძიებათა შესახებ) სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგიურ საბჭოს;

VI თავი. კათედრის სხდომა

გადაწყვეტილებები:

6.1. კათედრა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ:

ა) კათედრის სხდომას ესწრება კათედრის საერთო წევრთა 2/3.

ბ) კათედრის სხდომა გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით:

გ) ხმების თანაბარი რაოდენობით გაყოფის შემთხვევაში კათედრის თავმჯდომარის ხმა არის გადამწყვეტი;

6.2. სხდომის ჩატარება

თუ კათედრაზე გაერთიანებულია ხუთზე მეტი წევრი, კათედრის თავმჯდომარე ირჩევს და ნიშნავს მოადგილეს.

ა) მოადგილე უფლებამოსილია თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევში განახორციელოს თავმჯდომარის უფლებამოსილება (მოიწვიოს სხდომა, წარუძღვეს მას და ა.შ.)

ბ) თუ კათედრაზე გაერთიანებულია ხუთი ან ნაკლები წევრი კათედრის თავმჯდომარის მოადგილე არ აირჩევა. სხდომა უფლებამოსილია მხოლოდ კათედრის თავმჯდომარის უფლებამოსილებით;

VII თავი. ცვლილება-დამატებები დებულებაში

7.1. ცვლილებებს შეიმუშავებს კათედრის თავმჯდომარე წევრებთან ერთად და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.